შოთა მესხიას
ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

2008

ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტს შორის

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – "თესაუ"), რექტორი, პროფესორი გიორგი გოცირიძე, ერთი მხრივ, და შოთა მესხის ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის (შემდგომში – "ინსტიტუტი"), რექტორი, თეონა ხუფენია, მეორე მხრივ,

ადასტურებენ რა ბოლონიის დეკლარაციის პრინციპების მხარდაჭერას,

აცნობიერებენ რა, რომ უმაღლესი განათლება წარმოადგენს განსაკუთრებით ფასეულ კულტურულ, აკადემიურ და მეცნიერულ ღირებულებას ყოველი ადამიანისა და საზოგადოებისათვის,

ითვალისწინებენ რა, რომ უმაღლესი განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ურთიერთგაგებისა და ურთიერთნდობის განმტკიცების საქმეში,

ანიჭებენ რა დიდ მნიშნელობას უმაღლეს სასწავლებელთა ავტონომიის პრინციპს და აცნობიერებენ რა ამ პრინციპის განმტკიცებისა და დაცვის აუცილებლობას,

სურთ რა მისცენ საშუალება ყველა სტუდენტს, ქვეყნის მასშტაბით სრულად გამოიყენოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების შესაძლებლობები, რაც გამოიხატება მათი მცდელობის მხარდაჭერაში, გააგრძელონ განათლების მიღება ან დაასრულონ სწავლების პერიოდი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში,

თვლიან რა, რომ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში გავლილი სასწავლო კურსებისა და ხარისხების ცნობა არის ბოლონიის პროცესის შემადგენელი ნაწილი, მიმართული მხარეებს შორის აკადემიური მობილობის გაფართოების ხელშეწყობისაკენ, თანხმდებიან შემდეგზე

მუხლი 1. ურთიერთანამშრომლობის მიზანი

დემოკრატიულ საზოგადოებაში სტუდენტთა აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად, კარიერული წინსვლისთვის, თანამედროვე კვლევებისა და ინოვაციების, სამეცნიერო კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობის, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ზრდის, სამეცნიერო და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კვალიფიციური კადრების მომზადების საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ითანამშრომლონ ამ მიზნების მისაღწევად და განახორციელონ ერთობლივი, ურთიერთშეთანხმებული საქმიანობა.

მუხლი 2. ურთიერთთანამშრომლობის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები

1. ერთობლივი სამეცნიერო კვლევების, პუბლიკაციებისა და სამეცნიერო ღონისძიებების შემუშავება – განხორციელება და შედეგების აღიარება;
2. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება – განხორციელება და შედეგების აღიარება;
3. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ურთიერთგაცვლითი პროგრამების შემუშავება – განხორციელება;
4. სწავლების პერიოდებისა და აკადემიური ხარისხების აღიარება;
5. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა.

მუხლი 3. ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, პუბლიკაციები, სამეცნიერო ღონისძიებები

1. მხარეები ხელს შეუწყობენ ერთობლივი სამეცნიერო კვლევების განხორციელებას და წაახალისებენ ამ სფეროებში უნივერსიტეტებისა და ინტიტუტების აკადემიური პერსონალის, მეცნიერ თანამშრომლებისა და სტუდენტების აქტივობებს;
2. მხარეები გაცვლიან ინფორმაციას მათთან დაგეგმილი სამეცნიერო და სამეცნიერო – მეთოდური კონფერენციების, სემინარების, ტრეინინგების და სხვა

ღონისძიებების შესახებ და ხელს შეუწყობენ პარტნიორი მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობას ამ ღონისძიებებში;

3. მხარეები იზრუნებენ ერთობლივი სამეცნიერო ღონისძიებების (კონფერენცია, სემინარი, საზაფხულო სკოლა), აგრეთვე ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების რეგულარულად განხორციელებაზე, რომელთა თემატიკა და ვადები წინასწარ იქნება შეთანხმებული;

4. სამეცნიერო სტატიები, ანგარიშები და კვლევების შედეგები ერთ-ერთი მხარის ბეჭდვით ორგანოში პუბლიკაციას ექვემდებარება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

5. მხარეები შეუფერხებლად ისარგებლებენ ერთმანეთის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდებით ორმხრივ დადგენილი წესის შესაბამისად;

6. მხარეები ერთობლივად იზრუნებენ საგრანტო პაროგრამების მოძიებასა და საგრანტო კონკურსებში ერთობლივ მონაწილეობაზე.

მუხლი 4. ერთობლივი აკადემიური საქმიანობა

1. მხარეები იზრუნებენ, რათა შემუშავებულ და რეალიზებულ იქნეს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურების სწავლების მიმართულებების მიხედვით, რომლებიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილი წესით დიპლომების გაცემასა და მათ აღიარებას;

2. მხარეები ურთიერთშეთანხმებული პრინციპებით შეადგენენ კურიკულუმებს, ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო მოდულებს;

3. მხარეები იზრუნებენ მოკლევადიანი ერთობლივი საწავლო კურსების შემუშავება-რეალიზებაზე, რეალური სექტორის მოთხოვნილებების გათვალისწინებით;

4. მხარეები ხელს შეუწყობენ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის აკადემიურ მობილობას თანაბარი შესაძლებლობების პრინციპის დაცვით, აღიარებენ სტუდენტის მიერ პარტნიორ უმაღლეს სასწავლებელში გავლილ სასწავლო კურსებს;

5. მხარეები ითანამშრომლობენ აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით;

6. აღიარებენ რა ორივე მხარის აკადემიური პერსონალის მაღალ კვალიფიკაციას, სწავლებისა და სწავლის ჯეროვან ხარისხს, ცოდნის შეფასების სამართლიანობასა და ობიექტურობას, აკადემიური ხარისხის მინიჭების პროცედურების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობას, ცნობენ მხარეების მიერ მინიჭებულ აკადემიურ ხარისხებს (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი).

მუხლი 5. ერთობლივი საქმიანობა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით

1. მხარეები ხელს უწყობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების კოორდინირებულ მუშაობას, მათ თანამშრომლობას ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციისათვის მოსამზადებლად;

2. მხარეები ერთობლივად დახვეწენ ხარისხის მონიტორინგის ჩატარების მეთოდიკას, უზრუნველყოფენ ხარისხის პრაქტიკულად რეალიზების ფორმათა დანერგვისა და განხორციელების გამოცდილების ურთიერთგაზიარებას; ურთიერთმონაწილეობას ხარისხის შეფასების პროცედურებში;

3. მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ჩაატარებენ პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლის შეფასებას.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედებისა და ძალაში შესვლის პირობები

1. ხელშეკრულება იდება განუსაზღვრელი ვადით;

2.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები

ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია მხარეთა შეთანხმება.

მუხლი 8. სადავო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით.

მუხლი 9. სხვა დებულებები

1. ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას;

2. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგმზეპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეს;

3. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ხელშეკრულებით დარეგულირებულ ურთიერთობებში ფორმდება წერილობით, რომელიც ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი იქნება.

ხელმომწერი მხარეები:

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,

პროფესორი გიორგი გოცირიძე

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი,

პროფესორი თეონა ხუფენია

მხარეთა მისამართები:

2200, ქ. თელავი,

ქართული უნივერსიტეტის ქ.№1

2100 ქ. ზუგდიდი

ჯანაშიას ქ. №14